თბილისის სატრანსპორტო კომპანია
TBILISI TRANSPORT COMPANY

GRASS REFORMANDA
აიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
ნერილის რეგისტრაციის № 870
თარიღი: 17 10 2018 წ.

N 01/5933
11/10/2018

5933-01-2-201810111821

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული
საქალაქო სამსახურის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და ეფექტური
საჯარო მმართველობის მხარდაჭერის განყოფილების უფროსს ილია გელაშვილს

ბატონო ილია,

თქვენი 2018 წლის 03 ოქტომბრის N10-01182752540 წერილის (კომპანიაში რეგისტრაციის N7115/01 – 03/10/2018) პასუხად გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 14 მარტის №18.117.259 განკარგულებით და 2018 წლის 5 აპრილის №18.197.401 განკარგულებით დამტკიცებული შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის" წესდების საფუძველზე კომპანიას 2018 წლის 10 აპრილიდან მიენიჭა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში პარკირების სფეროს მართვის, ორგანიზების და კონტროლის უფლებამოსილება.

შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N16-53 დადგენილების საფუძველზე მიენიჭა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით და $125^2$ მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის უფლებამოსილება.

2018 წლის 28 სექტემბრის მონაცემებით პარკირების და დგომა გაჩერების წესების დარღვევისათვის გამოწერილია 237 000 ჯარიმა, სპეციალურ საჯარიმო ავტოსადგომზე გადაყვანილია - 2 120 ავტომანქანა, ხოლო საჯარიმო ქვითარი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი გასაჩივრებული აქვს - 97 პირს.

დედაქალაქში პარკირების ადგილები განსაზღვრულია „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილების განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილსის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 8 თებერვლის №06.01.98 განკარგულების საფუძველზე.

პატივისცემით,

მამუკა კობახიძე

გენერალური დირექტორი

ვაგზლის მოედანი #2, 0112 თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 235 77 77; ფაქსი: (995 32) 202 41 41
#2 Vagzali Square, 0112 Tbilisi, Georgia